



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიოლოგია

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვიზიტის თარიღი

2,3,4 ივნისი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

25 ივნისი, 2021

თბილისი  
2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი- საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა (მერვე დონე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ბიოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოლოგია 0511
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	30 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 11/07/2012, №189 გადაწყვეტილებით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბესარიონ ლასარეიშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
----------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიასამიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი, საქართველო

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნის პროექტი

#### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2012 წელს.

წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტი სავალდებულო 30 კრედიტის ოდენობით. მათ შორის: 1. ბიოლოგიური პროცესების მოდელირების და ანალიზის მეთოდები - 5 კრედიტი; 2. პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი; 3. დარგობრივი სემინარი 1 - 10 კრედიტი; 4. დარგობრივი სემინარი 2 - 10 კრედიტი.

პროგრამა ხორციელდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრირებით. მიმდინარე ეტაპზე, პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 10 სტუდენტს, პროგრამას ემსახურება 24 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, მათგან 22 აფილირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 100 %.

აკრედიტებულ რეჟიმში პროგრამის განხორციელების პერიოდში პროგრამის მიმართ გამოიყენებოდა უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა პროგრამის განვითარებაში და განახლებაში ყველა დაინტერესებული მხარის (განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართვას.

#### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა „ჰიბრიდული“ მეთოდით. 2021 წლის 2,3,4 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ინტერვიუება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 2021 წლის 4 ივნისს (სამუშაო დღის გარკვეულ მონაკვეთში).

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, დისტანციური მუშაობის რეჟიმის შეფერხებების გარეშე.
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე, რომლის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტებს აჩვენა და წარუდგინა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია სტანდარტის ყველა კომპონენტი, ასევე აღნიშნულია წარმოდგენილი პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევები და პროგრესია. დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რაც წინასწარ გაეცნო დაწესებულებას ზოგადი მიგნებების სახით და დადებითად იქნა აღქმული დაწესებულების მიერ.
- 

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობისა და ჩატარებული შეფასების შედეგად აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შეფასება შემდეგნაირია:

**სტანდარტი 1- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი 2- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**-სტანდარტი 3- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი-4--შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**სტანდარტი 5- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

### **რეკომენდაციები:**

არ არის წარმოდგენილი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

#### **კომპონენტი 1.2**

- გასწორდეს კურიკულუმის რუკაზე სადოქტორო პროგრამის დასახელება.
- სასურველია სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს უცხოელი კოლეგების ჩართულობით

#### **კომპონენტი 2.1**

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში უცხოელი (არაქართულენოვანი) სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში სასურველია გაიწეროს ქართულ ენის ცოდნის დონის ზღვარი.

- კომპონენტი 2.2

სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზება დოქტორანტებისათვის.

- კომპონენტი 2.4

- სასურველია სხვადასხვა ტიპის სემინარების მოწყობა ეკონომიკური აგენტების წარმომადგენლების მონაწილეობით. ერთობლივი საგრანტო პროექტების ინიცირება/განხორციელების მიზნით.

- კომპონენტი 2.6

სასურველია შეფასების სისტემაში პრატიკული კომპონენტის შეფასების კომპონენტში მეტი მრავალფეროვნება.

- კომპონენტი 4.3

ჩამოყალიბებულ იქნეს „ცხოველთა მოვლის და გამოყენების ინსტიტუციური კომიტეტი.

- კომპონენტი 5.1

კარგი იქნება მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებული ახალგაზრდა დოქტორების ჩართვას თსუს სასწავლო და სამეცნიერო ცხოვრებაში.

- კომპონენტი 5.3

სასურველია, მემორანდუმების გაფორმების გაფართოება სხვადასხვა პროფილის დამსაქმებლებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- მაღალ კვალიფიციური და მაღალი H ინდექსის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- დოქტორანტურის კურსდამთავრებულები არიან ძალიან წარმატებული დოქტორები, და მკვლევარები, რომლებიც დასაქმებულები არიან საკმაოდ პასუხისმგებელ თანამდებობებზე, მაგალითად, ერთ-ერთი უნივერსიტეტის სამედიცინო ფალულტეტის დეკანი, და სხვა..
- მრავალფეროვანი საგრანტო პროექტები, რაც ინსტიტუციის განვითარებისკენ არის მიმართული(რუსთაველის ფონდი, ევროპულ უნივერსიტეტებთან აქტიური თანამშრომლობა/ერთობლივი პროექტები).

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბოლო აკრედიტაციის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები: 1. შეიცვალა პროგრამისა და სილაბუსების სწავლის შედეგები. საფუძველი: თავსებადობა კვალიფიკაციების განახლებულ ეროვნულ ჩარჩოსთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით); 2. გაუქმდა კვლევითი კომპონენტი, წარმოდგენილი კოლოქვიუმი I, II-ით (თითოეული 20 კრედიტი). მის ნაცვლად კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია ორი სამეცნიერო კვლევითი პროექტის სახით, რომელსაც არ ენიჭება კრედიტმოცულობა, თუმცა

წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის; საფუძველი: თავსებადობა საკანონმდებლო ცვლილებებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №07/ნ2016 წლის 29 იანვარი; თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი); 3. სასწავლო კომპონენტს დაემატა სასწავლო კურსი: ბიოლოგიური პროცესების მოდელირების და ანალიზის მეთოდები (5 კრედიტი); საფუძველი: პროგრამის განვითარება; თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი. 4. გაუქმდა შემდეგი სასწავლო კურსები: 10 - ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა; - საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები; - მეცნიერების მენეჯმენტი; - სწავლების მეთოდები; - აკადემიური წერა. საფუძველი: პროგრამის განვითარება. 5. შემუშავდა სილაბუსები კომპონენტებისთვის: - დარგობრივი სემინარი 1-10 კრედიტი; - დარგობრივი სემინარი 2 -10 კრედიტი; - პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი. საფუძველი: პროგრამის განვითარება და ოპტიმიზაცია.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია - ბიოლოგიაში სამეცნიერო კვლევების განხორციელების უზრუნველყოფა; კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებლად სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და სწავლებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის გააქტიურება, სამეცნიერო კვლევის ხარისხის ამაღლება და მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში; ბიოლოგიაში ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელების უზრუნველყოფა. პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტებში იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერის დაწყებისთვის.

პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ ერთმანეთს გაუზიარონ სამეცნიერო ინტერესები, კერძოდ სემინარი I და სემინარი II კონფერენციაზე წარდგენის დროს.

პროგრამის მიზნები შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024) საფუძველზე.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ განვითარების გეგმას. ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარის მოთხოვნებზე. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლების ფორმატი, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური ადამიანური რესურსი - აკადემიური და

<p>დამხმარე პერსონალი, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და წიგნადი ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ.</li> </ul>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის აღწერილობა და პროგრამის სილაბუსები;</li> <li>• უნივერსიტეტის მისია;</li> <li>• სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024)</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• ინტერვიუს შედეგი;</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------



## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მერვე საფეხურის აღმწერს, წარმოადგენს შინაარსით გათვალისწინებულ იმ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რასაც მიაღწევს პროგრამის კურსდამთავრებული - ბიოლოგიის დოქტორის კვალიფიკაციით.

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, რომელიც შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რაც ჩამოყალიბებულია ლოგიკურად, განსაზღვრულია ამ სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტი; პროგრამის კურიკულუმის რუკაზე შეცდომითაა მითითებული საგანმანათლებლო პროგრამა „მათემატიკა“. მაგრამ შინაარსი შეესაბამება ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამას.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური პერსონალის მრავალწლიანი გამოცდილება.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი). პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგი.

### რეკომენდაციები:

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გასწორდეს კურიკულუმის რუკაზე სადოქტორო პროგრამის დასახელება.

სასურველია სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს უცხოელი კოლეგების ჩართულობით.

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

### შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**აღწერა და შეფასება**

- პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე დოქტორანტების ჩართვას პროგრამაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები

ფორმულირებულია მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ბიოლოგიის ან გამოყენებითი ბიომეცნიერებების მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, დიპლომირებული მედიკოსი მაგისტრთან გათანაბრებული;

უცხო ენის ცოდნის B 2 დონეზე დადასტურება;

ბიოლოგიის ან გამოყენებითი ბიომეცნიერებების მაგისტრებს ან მასთან გათანაბრებულ პირებს ჩაუტარდებათ გასაუბრება დარგობრივ სადისერტაციო კომისიაზე, ხოლო მაგისტრთან გათანაბრებულ დიპლომირებულ მედიკოსს - გამოცდა სპეციალობაში. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცედურები - საბუთების მიღების, გამოცდების ჩატარების, შედეგების გამოცხადების, აპელაციის, აპელაციის შედეგების გაცხადების, გასაუბრების, გასაუბრების შედეგების გამოცხადების ვადები- ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დახელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ასევე თითოეულ პროგრამაზე ვაკანტური ადგილების რაოდენობა, რომელიც ასევე საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი:  
[https://tsu.ge/assets/media/files/65/Quality\\_Assurance/TSU\\_programebis\\_catalogi\\_2019-2020.pdf](https://tsu.ge/assets/media/files/65/Quality_Assurance/TSU_programebis_catalogi_2019-2020.pdf)

#### **რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში უცხოელი (არაქართულენოვანი) სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში სასურველია გაიწეროს ქართულ ენის ცოდნის დონის ზღვარი.

#### **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
აღწერა და შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №245/2018 დადგენილების (27 დეკემბერი, 2018) დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესაბამისად, პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამა იყენებს ECTS კრედიტებს. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალი, ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები.

საგანმანათლებლო პროგრამა განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯარო წვდომისთვის დამტკიცების და აკრედიტაციის შემდეგ. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დოქტორანტის

სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი). ამ პერიოდში დოქტორანტმა უნდა შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა. შესაძლებელია 4 დამატებითი სემესტრის მოთხოვნა სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე.

პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს სავალდებულო 30 კრედიტს:

- 5 კრედიტი - ბიოლოგიური პროცესების მოდელირების და ანალიზის მეთოდები;
- 5 კრედიტი - პროფესორის ასისტენტობა;
- 10 კრედიტი - დარგობრივი სემინარი 1;
- 10 კრედიტი - დარგობრივი სემინარი 2.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს: სემინარის/სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოს/ პრაქტიკული დავალების ჩატარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვას “საბავშვო უნივერსიტეტის” მსმენელებისათვის; შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას; საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით (ე.წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობას; ტუტორობას და სხვ. პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში დოქტორანტი ეუფლება სწავლების მეთოდებს, იძენს პედაგოგიურ უნარ-ჩვევებს. დარგობრივ სემინარებზე დოქტორანტები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომლისთანმდევია დისკუსია.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. დოქტორანტის სემინარი ხელს უწყობს დარგობრივი ცოდნის გაღრმავებას და სამეცნიერო თვალთახედვის გაფართოებას. პროგრამის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამეცნიერო ხელმძღვანელის და შესაბამისი კომისიის მიერ დადებითად შეფასებულ ორ სამეცნიერო კვლევით პროექტს. დოქტორანტის სემინარებისა და სამეცნიერო კვლევითი პროექტების წარდგენა ხდება საფაკულტეტო კონფერენციების ფარგლებში, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი კომისიების წინაშე. შესაბამისად, სამეცნიერო კვლევით პროექტს არა აქვს შეფასების კომპონენტი, თუმცა ის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებთან ერთად ერთგვარად წარმოადგენს საჯარო დაცვაზე

დაშვების წინაპირობას. გარდა სასწავლო და კვლევითი კომპონენტისა დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია სადისერტაციო ნაშრომის კვლევების წარმოდგენა სამეცნიერო კონფერენციაზე, სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომი – რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ერთი მაინც გამოქვეყნებულია Clarivate Analytics-ის Web of Science-ში ინდექსირებულ დადებითი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;
- დადგენილება №245/2018- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ, დადგენილება №245/2018, 27 დეკემბერი, 2018;
- დადგენილება №92/2019 - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ, დადგენილება №92/2019, 22 ივლისი, 2019;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური
- სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები;
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობები ;
- უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზება დოქტორანტებისათვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.3. სასწავლო კურსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსი მოცემულია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, ლექტორი, სასწავლო კურსის სტატუსი, მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS), დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები), სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, დამატებითი ინფორმაცია/პირობები. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან, რაც ასახულია სწავლის შედეგების რუკაზე. სწავლის შედეგები ფორმულირებულია მოკლედ, მკაფიოდ და გასაგებად.</li> </ul>

- თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათები გადანაწილებულია ადეკვატურად და მაქსიმალურად ითვალისწინებს კომპონენტების სპეციფიკას.
- შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება კურსის მიზნებს. სტუდენტების მიღებული შეფასებების ანალიზის საფუძველზე ხდება სასწავლო კურსების განახლება/დახვეწა. სილაბუსებში პერიოდულად ხორციელდება ლიტერატურის განახლება, შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა, სწავლების მეთოდებისა და სხვა სახის ცვლილებები. მსგავსი ცვლილებების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ სემესტრის დაწყებისთანავე, როდესაც ლექტორი მათ დეტალურად აცნობს სასწავლო კურსის სილაბუსს.
- სადისერტაციო ნაშრომის საჭიროებებიდან გამომდინარე დოქტორანტს შეუძლია აიღოს საგნები ქვედა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებიდან, სპეციფიკური დარგობრივი ცოდნის გაღრმავებისა და კონკრეტული დარგობრივი თუ ტრანსფერული უნარების გამომუშავების მიზნით, კრედიტის მინიჭების გარეშე.
- 

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ;
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ;
- საბიბლიოთეკო რესურსები/ბაზები
- ინტერვიუს შედეგი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**



**შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიოლოგია მთლიანად ორიენტირებულია დოქტორანტებისათვის სამეცნიერო-კვლევითი შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის სადოქტორო პროგრამა სწავლების საწყის ეტაპზე ითვალისწინებს კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლას.

კვლევითი უნარებისა და მეცნიერული ხედვის განვითარებისთვის პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივორ სემინარს.

დოქტორანტი არჩევს სამეცნიერო ნაშრომებს და ეცნობა დარგისთვის ტიპობრივი კვლევის თავისებურებებს, სამეცნიერო ნაშრომის დაწერის ტექნიკას. სამეცნიერო ნაშრომების წარმოდგენას აუდიტორიის წინაშე.

სამეცნიერო და კვლევითი უნარების განსავითარებლად პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო - კვლევით პროექტებს.

სამეცნიერო პროექტების განხორციელებით დოქტორანტი გამოიმუშავებს კვლევის დაგეგმვისა და ფართო საზოგადოებასთან საკუთარი იდეების წარმოდგენის უნარს.

პედაგოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის

სასწავლო კომპონენტში შედის პროფესორის ასისტენტობა.

- პროგრამაში ჩართული დოქტორანტები მონაწილეობენ უსდ-ს საფაკულტეტო კონფერენციაში; ა ასევე სხვადასხვა სამეცნიერო საგრანტო პროექტებში. რაც საშუალებას აძლევს მათ პროგრამის დასრულების შემდეგ ქონდეთ ტრანსფერული უნარები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება
- მინიმალური სტანდარტი;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- სტუდენტების სამეცნიერო აქტივობა.
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სხვადასხვა ტიპის სემინარების მოწყობა ეკონომიკური აგენტების წარმომადგენლების მონაწილეობით. ერთობლივი საგრანტო პროექტების ინიცირება/განხორციელების მიზნით

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების მეთოდებია: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; პრაქტიკული და ლაბორატორიული მეთოდები; დისკუსია/დებატები; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის ანალიზი; გუნდური მუშაობის მეთოდი; პრეზენტაცია/დემონსტრირების მეთოდი; წერიითი მუშაობის მეთოდი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიოლოგია ისეა აგებული, რომ შერჩეული სწავლა/სწავლების მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი იყოს როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის, ისე პროგრამის შედეგების მიღწევა, დოქტორანტის მიერ შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება. სასწავლო კურსების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

უნივერსიტეტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სპეციალური საჭიროებების მქონე დოქტორანტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 4);
- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ; [https://old.tsu.ge/ge/juridical/axad\\_council\\_resolutions/2018acad/682018/](https://old.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/682018/)
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.
- [https://old.tsu.ge/ge/juridical/axad\\_council\\_resolutions/2018acad/712018/](https://old.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/712018/)
- ინტერვიუები

### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p><b>აღწერა და შეფასება</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მოცემულია შეფასების ფორმები და კრიტერიუმები; ინფორმაცია არის საჯარო, ღია და ხელმისაწვდომი დოქტორანტებისათვის.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის</p>

მიღწევის დონე ფასდება, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილით გამოცდა, ზეპირი/წერილით გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.).

გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა <https://www.tsu.ge/assets/media/files/1/gamocdebis-chatarebis-instruqcia.pdf>.

უზრუნველყოფილია სტუდენტთა უკუკავშირის, სტუდენტები იღებენ დეტალურ განმარტებებს შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ.

ინდივიდუალური სწავლის შედეგის მიღწევის დონეზე სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) საშუალებით. სტუდენტს აქვს უფლება გააპროტესტოს შეფასების შედეგები აპელაციის წესით.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - 91 – 100 ქულა; (B) ძალიანკარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დამატებითი გამოცდა ინიშნება არანაკლებ 5 კალენდარული დღის ფარგლებში.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დაცვის კომისიის წევრების მიერ კონფიდენციალურად ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - 91-100 ქულა;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90 ქულა;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - 41-50 ქულა;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები.

„ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;

- „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დისერტაციის შეფასება არის ერთჯერადი დასკვნითი შეფასებით.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი.
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია
- <https://www.tsu.ge/assets/media/files/1/gamocdebis->
- ინტერვიუები

<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>სასურველია შეფასების სისტემაში პრაქტიკული კომპონენტის შეფასების კომპონენტში მეტი მრავალფეროვნება.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტსა და დოქტორანტურაში ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა აღწერილი პირობები და ორივე მხარის ვალდებულებები. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დოქტორანტურაზე ჩარიცხვის მოტივაცია იყო სასწავლო ბაზების მრავალფეროვნება, ფართო კვლევისა და სწავლის შესაძლებლობები და პროფესორ-მასწავლებლების გამოცდილება.

ჩარიცხულ სტუდენტებს 1 კვირის განმავლობაში უტარდებათ კონსულტაციები, როდესაც სხვადასხვა დეპარტამენტები ხვდებიან სტუდენტებს და წარუდგენენ საუნივერსიტეტო სერვისებს. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სასწავლო გარემოსა და პროცესთან დაკავშირებით. სტუდენტებს სწავლის პროცესში საშუალება აქვთ დამატებითი კონსულტაციები გაიარონ პროგრამის ან კურსის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან და სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

პროცესის ადმინისტრირების, სწავლა-სწავლებისა თუ კვლევის პროცესების გასაუმჯობესებლად თსუ-ში მიმდინარეობს სტუდენტთა ანონიმური ყოველსემესტრული გამოკითხვა.გამოკითხვის შედეგებით ფასდება საინფორმაციო სერვისებისა და სასწავლო პროცესის პოზიტიური და გასაუმჯობესებელი მხარეები.

უნივერსიტეტში არსებული კარიერული განვითარების ცენტრი სტუდენტებს კონსულტირებას უწევს კარიერული განვითარების ხელშეწყობისათვის. სტუდენტები რეგულარულად იღებენ საინფორმაციო იმეილებს დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. თუმცა, სტუდენტებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ დასაქმებას ძირითადად საკუთარი კავშირებით უზრუნველყოფენ და ნაკლებად იყენებენ



კარიერული განვითარების ცენტრის რესურსს. ასევე, ისურვებდნენ, რომ დასაქმების შეთავაზებები უფრო მორგებული იყოს მათ სპეციალობაზე.

ნებისმიერ საკითხზე საჭირო ინფორმაციის მიღება სტუდენტს შეუძლია, აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელსაც აკონტროლებს და სტუდენტის სურვილებზე, მოთხოვნებსა და მოსაზრებებზე რეაგირებას ახდენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის კანცელარია.

ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობს. თანამშრომლობა მიზნად ისახავს პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, კვლევითი მასალების, საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამების საერთაშორისო გაცვლაში ხელშეწყობას. სტუდენტებთან ინტერვიუსას, აღმოჩნდა, რომ უმეტესობა არ არის ინფორმირებული ან დაინტერესებული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებთან/კონფერენციებთან დაკავშირებით. ასევე, გამოთქვეს სურვილი, რომ უნივერსიტეტში იყოს მეტი ექტრაკურიკულური აქტივობები და პრაქტიკული გასვლითი ღონისძიებები.

დოქტორანტებს შეუძლიათ საფუკულტეტო და საკონკურსო პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევებში მონაწილეობის მიღება, ასევე, აქვთ შეთავაზებები საერთაშორისო მობილობაზე. უნივერსიტეტის მხარს უჭერს დოქტორანტთა მობილობსა და თავისუფალ გადაადგილებას სწავლისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის მიღების მიზნით, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური აწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინს, ადგენს სასწავლო ცხირებს, უზრუნველყოფს დოქტორანტთა ინფორმირებას ( სასწავლო პროცესის მართვის სისტემით, მობილურ ტელეფონზე თუ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებების სახითდა სხვა), ამ სამსახურით ხორციელდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესების, რეგულაციების ინსტრუქციების შეცვლასთან დაკავშირებით სტუდენტთა ინფორმირებულობა და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზება.

თსუ-ს ყველა სტუდენტს აქვს საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა. სტუდენტებისთვის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე

გავლილ სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებები განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაზე.

უნივერსიტეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების და მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, აწესებს შეღავათებს: ეტაპობრივად და თანმიმდევრულად აუმჯობესებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნიშნავს დამხმარე პირებს, უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და სხვ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს: დოქტორანტთა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის კოორდინირებას; სემინარებისა და სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას; ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელებას; ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებას და სხვ.დოქტორანტები აქვეყნებენ ნაშრომებს საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში.

ფაკულტეტზე შექმნილია კრედიტების აღიარების კომისია. ფაკულტეტი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ერთობლივად მონაწილეობენ დოქტორანტების მიერ უცხოეთის აკრედიტებულ უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №:40/02-01, 2018-02-26, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ.
- ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება;
- უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალურის სტანდარტი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- დოქტორანტის მიერ თემის შერჩევა ხდება დოქტორანტისა და ხელმძღვანელის საერთო დაინტერესებიდან გამომდინარე. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 6 თვისა, სადისერტაციო თემისა და თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს დამტკიცების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.
- სტუდენტს შესაძლოა ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი, სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე შესაძლოა ხელმძღვანელი არ იყოს აკადემიური პერსონალი, მაგრამ ხელმძღვანელებიდან ერთ-ერთს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები, პუბლიკაციებიდან ერთი მაინც გამოქვეყნებული უნდა იყოს მაღალ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში. ერთ-ერთი ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს უცხოური ორგანიზაციებიდან.
- სტუდენტებს მჭიდრო კავშირი და აქტიური კომუნიკაცია აქვთ თემის ხელმძღვანელებთან. საკონსულტაციო საათების გარდა, საჭიროებისამებრ აქვთ კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტისა თუ მობილური ტელეფონის საშუალებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება;

<ul style="list-style-type: none"> <li>• დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი;</li> <li>• ქპერსონალის CV ;</li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<b>4.1 ადამიანური რესურსი</b>

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიოლოგია-ს ახორციელებენ ბიოლოგიის დარგის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში შემუშავებული შიდა რეგულაციებით.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელია მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები წარმოდგენილი ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში, გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. აღსანიშნავია მათი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცი-მოვალეობები, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიოლოგია-ს განხორციელებაში ჩართულია 24 პედაგოგი. მათ შორის 22 აკადემიური, (პროფესორი 7, ასოცირებული პროფესორი 13, ასისტენტ პროფესორი 2) ყველა მათგანი არის აფილირებული და 2 მოწვეული პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, დამხმარე პერსონალის (9 თანამშრომელი) ჩართულობა უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (22/2), ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (24/38) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ბიოლოგიის დარგის წამყვან მეცნიერებს, პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსით, მათ უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად მათ გაითვალისწინეს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

ასევე უნდა გაესვას ხაზი პროგრამის ხელმძღვანელების რაოდენობას, პროგრამას ყავს 9 ხელმძღვანელი, რაც ჩვენი აზრით განპირობებულია ბიოლოგიის დარგის

მულტიდისციპლინარული ასპექტით.

პროგრამის ხელმძღვანელების მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს მათი ჩართულობა საგრანტო პროექტებში, 45 გრანტი ეროვნული და საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უშუალოდაა ჩართული პროგრამის სწორად და ეფექტურად წარმართვის საქმიანობაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები;
- გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;
  - გასაუბრება კურსდამთავრებულებულებთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-მაღალ კვალიფიციური და მაღალი H ინდექსის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის გავითარების სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას, რასაც კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, კერძოდ დაგენილებების 2018 წლის 26 თებერვლის N 78/2018 და N 81/2018 საფუძველზე უნივერსიტეტის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი ავსებს თვითშეფასების კითხვარს, რაც ხაზს უსვამს არსებულ ძლიერი და სუსტი მხარეებს, გამომდინარე იგეგმება რიგი ქმედებების არსებული სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

ასევე ყოველწლიურად მიმდინარებს უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის ანგარიშების მომზადება წარდგენა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში განსახილველად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესში ასევე ჩართულები არიან სტუდენტებიც, მათი ჩართულობა აღნიშნულ პროცესში მეტყველებს პედაგოგიური პერსონალის შეფასების ობიექტურობის მაღალ ხარისხზე.

უნივერსიტეტში შემუშავებულია განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, აღნიშნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს აკადემიური/მოწვეული სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რაც გამოიხატება აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მონაწილეობის მიღებაში გაცვლით პროექტებში მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ასევე პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით ტარდება საჯარო ლექციები.

აღნიშნული ნათლად ჩანს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებების ჩამონათვალში (დანართი 12)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ჩამოთვლილი ტრენინგების სიმრავლისა, პროგრამის აკრედიტაციის მსვლელობისას ჩატარებულმა აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში, გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების აუცილებლობა, კერძოდ გამოიკვეთა ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ქვეყანაში მოქმედ ბიოლოგიის მიმართულების წამყვან ინსტიტუციასთან, რაც ცალსახად ხელს უწყობს როგორც განათლების პროცესის სრულყოფას ასევე, პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის პროფესიულ ზრდას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ;
- ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI კორპუსის ბაზაზე არსებული ობიექტები, რომელიც ემსახურება ბიოლოგიის როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა



ფაკულტეტის რესურსცენტრები სრულად არის ხელმისაწვდომი სამეცნიერო საფეხურის ბიოლოგიის პროგრამის იმპლემენტაციისთვის.

სხვადასხვა რაოდენობის მსმენელზე გათვლილი აუდიტორიები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI კორპუსის ბაზაზე, არის სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით, რომლის სრული ჩამონათვალი წარმოდგენილია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, ფუნქციონირებს ვივარიუმი, რომელიც გათვლილია მცირე ლაბორატორიული ცხოველებისა და ქორდიანების შენახვისა და გამრავლებისთვის. ვივარიუმი არის იზოლირებული და დაცულია ცხოველთა შენახვის, მოვლის და გამოყენების ყველა მოთხოვნა.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ შესამუშავებელია ცხოველთა გამოყენების შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციები, შემუშავებულია რჩევა, ჩამოყალიბებულ იქნეს „ცხოველთა მოვლის და გამოყენების ინსტიტუციური კომიტეტი“.

უნივერსიტეტის XI კორპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას (რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე სამკითხველო სივრცით), კაფეტერიას, პარკინგს, საკონფერენციო აუდიტორიებს, ფუნქციონირებს ზოოლოგიის და გეოლოგიის მუზეუმები რომლებშიც წარმოდგენილია უნიკალური ექსპონატები, აღსანიშნავია უნიკალური ჰერბარიუმი რომელშიც წარმოდგენილია XIII საუკუნის უნიკალური ექსპონატები, იგეგმება ჰერბარიუმის დიგიტალიზაცია და საცავის რეკონსტრუქცია.

უახლესი სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით, ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Cambridge University Journals. უნივერსიტეტს აქვს წვდომა შემდეგ სამეცნიერო ბაზებთან: Google Scholar, Web of Science, Scopus, Science Direct. როგორც უკვე იყო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქვეყნის წამყვან ბიოსამედიცინო და ბიოაგრარული პროფილის მქონე ინსტიტუციებთან, აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ამ ინსტიტუციების, როგორც სამეცნიერო კადრების, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების გამოყენებას პროგრამის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. უნდა აღინიშნოს რომ დოქტორანტების დიდი ნაწილი დასაქმებულია სწორედ ამ ს/კ ინსტიტუციებში.

უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტი უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან;
- ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ჩამოყალიბებულ იქნეს „ცხოველთა მოვლის და გამოყენების ინსტიტუციური კომიტეტი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლების-გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით, უნივერსიტეტის ხარჯვით ნაწილში ბიოლოგიის დოქტორანტურის პროგრამის ბიუჯეტი განიხილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტთან ერთობლიობაში.

ხარჯვითი ნაწილი ითვალისწინებს:

პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას;

- წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრებისათვის ფინანსური უზრუნველყოფას;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ანაზღაურებას;
- სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისათვის აუცილებელი ფინანსური უზრუნველყოფას;
- სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას და სხვა.

აღსანიშნავია, რომ გარდა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თემატიკებისა,

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებით, რომელთა დაფინანსების წილი ცალსახად ისახება უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავლებში.

- ინსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ, ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან და პრორექტორთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ	არის
-----------	-----------------	----------	------------	----	------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>განათლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების სისტემა.</p> <p>სისტემა მოიცავს შემდეგ მიმართებებს:</p> <p>1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მიმდინარეობს საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოების მიერ.</p> <p>სილაბუსების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ინდიკატორების გათვალისწინებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, კრედიტების სწორად გამოყენება, სავალდებულო/ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალების სიახლე და ადეკვატურობა და სხვ.;</p> <p>2. სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება - საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოების მიერ;</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება (მათ დამტკიცებამდე და ამოქმედებამდე) ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ინდიკატორების გათვალისწინებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის</p>

შესაბამისობა პროგრამის შინაარსთან, კრედიტების ადეკვატურად განაწილება, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, შეფასების სისტემის შესაბამისობა საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან, დასაქმების სფეროების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და სხვ.;

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელი სპეციალისტების) ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების შეფასების და განვითარების/მოდერნიზაციის პროცესში;

4. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება მიმდინარეობს საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული წესისა და ინდიკატორების შესაბამისად; უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით;

5. აქტიურად მიმდინარეობს სტუდენტების და პერსონალის, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და სხვ. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ორგანიზება და მათი კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობასთან, სტუდენტებისა და პერსონალის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა, საბიბლიოთეკო ფონდებით უზრუნველყოფასთან მიმართებით;

6. აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისთვის მიმდინარეობს კონსულტაციების გაწევა გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან მიმართებით და სხვა მათთვის საინტერესო საკითხებზე;

7. ასევე აქტიურად ხდება ინფორმირება თვითშეფასების პროცესის კოორდინირება/თვითშეფასების ანგარიშის მომზადების საკითხებსა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ სხვ. მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით,

8. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური რეგულარულად ატარებს პროგრამების შიდა მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს პროგრამების განვითარება-დახვეწას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სილაბუსების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;

o უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;

o უნივერსიტეტის აკადემიურისაბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N 67/2018 სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ <https://www.tsu.ge/ka/legalakad/15976>;

o უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2019 წლის 26 თებერვლის ბრძანება N01/03 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარების დამტკიცების შესახებ;

o უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი <https://newtsutest.tsu.ge/ka/quality-assurance>;

o ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კარგი იქნება მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებული ახალგაზრდა დოქტორების ჩართვას თსუს სასწავლო და სამეცნიერო ცხოვრებაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

დოქტორანტურის კურსდამთავრებულები არიან ძალიან წარმატებული დოქტორები, და მკვლევარები, რომლებიც დასაქმებულები არიან საკმაოდ პასუხისმგებელ თანამდებობებზე, მაგალითად, ერთ-ერთი უნივერსიტეტის სამედიცინო ფალულტეტის დეკანი, და სხვა..

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

--

<b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b>
-----------------------------------

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
----------------------------------------------------------------

<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის გარე შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლს.</p> <p>დამტკიცებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე, სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები..</p> <p>ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა; საგანმანათლებლო საქმიანობა; სტუდენტური ცხოვრება; ინსტიტუციური განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები/ინდიკატორები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, ფინანსური რესურსი. ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფაზე.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოწმდება და ფასდება, როგორც აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა წაკითხულ კურსებთან, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასახვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა გარე ხარისხის შეფასება სხვადასხვა მიმართულებებით: კერძოდ: არის პროფესორის ნაწილი, რომელიც არის ჩართული ევროპულ, წამყვან უნივერსიტეტებში.</p> <p>შესაბამისად, მათი ჩართულობით პერიოდულად მიმდინარეობს ცალკეული კურსების ფარგლებში უკუკავშირის და შეფასების მიღება ევროპელი ექსპერტებისგან.რის შემდეგაც ხდება მათი რეკომენდაციების გათვალისწინება და აუცილებლობის შემთხვევაში</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

კურსების მოდერნიზება.
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი <a href="https://newsutest.tsu.ge/ka/quality-assurance">https://newsutest.tsu.ge/ka/quality-assurance</a>;</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება.</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიში 2020</li> <li>• ინტერვიუები</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. სასწავლო პროგრამა ასახავს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად ცვალებად და განვითარებად დარგს, რაც მოითხოვს მის პერიოდულ ცვალებადობას შესაბამის დარგობრივი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.</p>



სასწავლო წლის ბოლოს დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის შესაბამისი სილაბუსების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების დაგეგმვა/განხორციელება, რომელიც აისახება, როგორც შინაარსობრივ ცვლილებებში, ასევე სასწავლო მასალის განახლებაში. მიმდინარეობს სასწავლო წლის განმავლობაში დამსაქმებელთა შემოთავაზებების/მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ანალიზი. მიღებული მასალის ანალიზის საფუძველზე ხორციელდება გარკვეული ტიპის ცვლილებები, როგორც შინაარსობრივ ნაწილში, ასევე ადმინისტრაციულში (მაგ. იზრდება მისაღები კონტიგენტის რაოდენობა).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსის შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, მემორანდუმების გაფორმების გაფართოება სხვადასხვა პროფილის დამსაქმებლებთან

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მრავალფეროვანი საგრანტო პროექტები, რაც ინსტიტუციის განვითარებისკენ არის მიმართული(რუსთაველის ფონდი, ევროპულ უნივერსიტეტებთან აქტიური თანამშრომლობა/ერთობლივი პროექტები)

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიოლოგია, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ბესარიონ ლასარეიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ინგა დიასამიძე



ლევან ციციშვილი



ირმა ქურდაძე



მარიამ აბულაძე

